

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

შენიშვნა 1: კლუბის შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საფეხბურთო კლუბი ტორპედო ქუთაისი“ („კლუბი“) დაფუძნდა 2008 წლის 8 ივლისს ქალაქ ქუთაისში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლუბის მფლობელი იყო შპს „ინტერნეიშენალ სოქარ ჰაუს“-ი. 2019 წლის 23 დეკემბერს კლუბი მმართველობაში გადაეცა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს.

კლუბის ამჟამინდელ 100%-იანი წილის მფლობელს წარმოადგენს ა(ა)იპ „ნიუ ვიქენ უნივერსიტეტი“, რომელსაც 2021 წლის 7 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებით გადაეცა კლუბი.

კლუბის იურიდიული და ფაქტიური მისამართია: ქ. ქუთაისი, აკაკი ხორავას #1.

კლუბის ძირითად მიზანს წარმოადგენს ფეხბურთის პოპულარიზაცია და მისი განვითარების ხელშეწყობა, სპორტული ღონისძიებების შემუშავება, ორგანიზება, ჯანსაღი თაობის აღზრდა. კლუბის შემადგენლობაშია როგორც პროფესიონალური ასევე ახალგაზრდული გუნდები. კლუბი ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარებისთვის აყალიბებს საფეხბურთო სკოლა-აკადემიას და უზრუნველყოფს ბავშვთა გუნდების მონაწილეობას სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში.

შენიშვნა 2: საადრიცხო პოლიტიკა

• მომზადების საფუძველი

კლუბი ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. წარმოდგენილი „სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება“ მომზადებულია ამ ბუღალტრული ჩანაწერების საფუძველზე და საჭიროებისამებრ კორექტირებულია იმგვარად, რომ დააკმაყოფილოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) აღიარების, შეფასებისა და წარდგენის პრინციპები და მოთხოვნები, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა როდესაც შემოსავლები და ხარჯები აღიარდება საკასო მეთოდით.

წარმოდგენილი „სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება“ არ მოიცავს ყველა იმ ახსნა-განმარტებით შენიშვნას, რომელიც შესაძლოა მოთხოვნილი ყოფილიყო ფასს-ის მიხედვით.

წარმოდგენილი „სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება“ მომზადდა საკასო, დარიცხვისა და ისტორიული ღირებულების პრინციპების გამოყენებით.

• ფინანსური ანგარიშგების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა

კლუბის საოპერაციო და საადრიცხო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

• უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტის ნაშთების ლარებში გადაყვანისათვის გამოყენებული ძირითადი განაკვეთი იყო:

	31 დეკ 2024	31 დეკ 2023
ლარი / 1 აშშ დოლარი	2.8068	2.6894
ლარი / 1 ევრო	2.9306	2.9753

შენიშვნა 2: სადარიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

• ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ბანკში არსებული ფულადი სახსრებისგან.

• ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები მოცემულია - ისტორიული ღირებულებას გამოკლებული ცვეთა. ისტორიული ღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს. ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მასაბურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

აქტივების ჯგუფი	წლიური ცვეთის საპროცენტო განაკვეთი
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	8% - 20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%
მანქანა-დანადგარები	8% - 20%
სხვა	20%

ძირითადი საშუალებების გაყიდვა/ჩამოწერასთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი დგინდება ნარჩენ ღირებულებაზე დაყრდნობით და გაითვალისწინება მიმდინარე შედეგის განსაზღვრისას. ძირითადი საშუალებების მომსახურების ხარჯები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ხარჯების გაწევის მომენტში.

• შემოსავალი და დარიცხვები

კლუბის შემოსავლების ძირითადი წყაროებია: შემოსავალი ააიპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან, შემოსავალი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან, UEFA-სგან მისაღები თანხები და სხვა შემოსავლები.

სუბსიდიები, გრანტები და სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან და შენატანები/შემოწირულობები დაკავშირებული მხარეებიდან - აღიარდება საკასო მეთოდით, ხოლო სხვა ყველა შემოსავალი და ამონაგები აღიარდება დარიცხვის მეთოდით.

სხვა შემოსავალი - სხვა შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც ის მისაღები გახდება გაწეული მომსახურების შედეგად.

შენიშვნა 3. გარემო და ფუნქციონირებადი საწარმო

2016 წლის თებერვლის თვიდან, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ შეიმუშავა ფეხბურთის განვითარების ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც დაამტკიცა საქართველოს მთავრობამ. ინიციატივის მიხედვით, შეიქმნა „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი“, რომელიც განკარგავს სახელმწიფო თანხებს. ამგვარად, კლუბისთვის სახელმწიფო თანხებიდან მიზნობრივი დაფინანსების გამოყოფა ხდება ფონდის მეშვეობით. ფეხბურთის განვითარების ფონდის ძირითადი ამოცანებია: კლუბების დაფინანსების სისტემის მოწესრიგება, კერძო ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირება, საფეხბურთო განათლების დონის ამაღლება, ბავშვთა სკოლების საქმიანობის სტრუქტურირება, მოზარდი ფეხბურთელების რაოდენობის გაზრდა. ფეხბურთის განვითარების გეგმის მიხედვით ჩამოყალიბდა დაფინანსების ახალი პრინციპები, კერძოდ შეიქმნა: საბაზისო კალათა, ქულების საპრემიო კალათა, ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირების კალათა და საპრიზო კალათა.

2024 წლის 30 იანვრის ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის გამგეობის სხდომის ოქმის N37-ის მიხედვით განისაზღვრა 2024 წლის დაფინანსების ბიუჯეტი, შემდეგი დანიშნულებებითა და მოცულობებით:

- კლუბების საბაზისო დაფინანსება 16,520,000 ლარის ოდენობით;
- კლუბების პრემიალური, საპრიზო თანხები და VAR სისტემის მომსახურების თანხები 6,980,000 ლარის ოდენობით;
- კლუბების ფინანსური სტიმულირება 11,500,000 ლარის ოდენობით;
- მასობრივი სახის საფეხბურთო ღონისძიებებისა და საფეხბურთო განათლების ხელშეწყობი პროგრამების და მარკეტინგული აქტივობების დაფინანსება 4,000,000 ლარის ოდენობით;
- კატეგორია მინიჭებული სკოლების ტექნიკური მხარდაჭერის დაფინანსება 1,000,000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა 3. გარემო და ფუნქციონირებადი საწარმო (გაგრძელება)

2025 წლის 10 თებერვლის ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის გამგეობის სხდომის ოქმის N43-ის მიხედვით განისაზღვრა 2025 წლის დაფინანსების ბიუჯეტი, შემდეგი დანიშნულებებითა და მოცულობებით:

- კლუბების საბაზისო დაფინანსება 16,520,000 ლარის ოდენობით;
- კლუბების პრემიალური, საპრიზო თანხები და VAR სისტემის მომსახურების თანხები 6,980,000 ლარის ოდენობით;
- კლუბების ფინანსური სტიმულირება 11,500,000 ლარის ოდენობით;
- მასობრივი სახის საფეხბურთო ღონისძიებებისა და საფეხბურთო განათლების ხელშეწყობი პროგრამების და მარკეტინგული აქტივობების დაფინანსება 4,170,000 ლარის ოდენობით;
- კატეგორია მინიჭებული სკოლების ტექნიკური მხარდაჭერის დაფინანსება 1,000,000 ლარის ოდენობით.

კლუბი დარწმუნებულია რომ გააგრძელებს საქმიანობას როგორც ფუნქციონირებადი საწარმო. კლუბის ამჟამინდელი 100%-იანი წილის მესაკუთრე - ა(ა)იპ „ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი“ აგრძელებს კლუბის დაფინანსებას და უზრუნველყოფს კლუბს ფინანსური კუთხით. როგორც მფლობელს, - ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს აქვს აღებული ვალდებულება მოიძიოს ინვესტორები, დონორები და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემოსავლის სხვა წყაროები, რათა კლუბის ბიუჯეტმა შეადგინოს მინიმუმ 4 მილიონი ლარი.

შენიშვნა 4. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და ფულის ეკვივალენტები მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საფეხბურთო კლუბის საბანკო ანგარიშზე არსებული ფულის ნაშთს ეროვნულ ვალუტაში (ლარში) – 12,895 ლარი (2023 წლის 31 დეკემბერი: 11,674 ლარი).

შენიშვნა 5. სხვა დებიტორული დავალიანება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლუბის სხვა დებიტორული დავალიანება არის 3,901 ლარი. 2023 წლის 31 დეკემბრის სხვა დებიტორული დავალიანება მოცავს "უეფა"-სგან მისაღებ ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარებისთვის გამოყოფილ თანხას 257,912 ლარს, ასევე სხვა მისაღებ თანხას 3,511 ლარს.

შენიშვნა 6. სხვა მიმდინარე აქტივები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლუბის სხვა მიმდინარე აქტივები, 180,811 ლარი მოიცავს წინასწარ გადახდილ ხელფასებს - 57,236 ლარს და მომწოდებლებისათვის წინასწარ ანაზღაურებულ თანხას - 123,575 ლარს (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლუბის სხვა მიმდინარე აქტივები, 123,363 ლარი მოიცავს წინასწარ გადახდილ ხელფასებს - 53,997 ლარს და მომწოდებლებისათვის წინასწარ ანაზღაურებულ თანხას - 48,000 ლარს).

შპს „საფეხბურთო კლუბი ტორპედო ქუთაისი“
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა 7. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სხვა	ჯამი
2022 წლის 31 დეკემბერი	21,284	202,374	30,016	-	18,876	272,550
შეძენა	-	24,078	-	518,653	6,424	549,155
გასვლა	-	-	-	-	(10,481)	(10,481)
2023 წლის 31 დეკემბერი	21,284	226,452	30,016	518,653	14,819	811,224
შეძენა	23,856	47,766	-	107,311	5,464	184,397
2024 წლის 31 დეკემბერი	45,140	274,218	30,016	625,964	20,283	995,621
ცვეთა						
2022 წლის 31 დეკემბერი	(5,956)	(112,327)	(21,136)	-	(13,899)	(153,318)
პერიოდის ცვეთა	(3,710)	(27,564)	(5,315)	-	(2,404)	(38,993)
ცვეთის ჩამოწერა	-	-	-	-	9,220	9,220
2023 წლის 31 დეკემბერი	(9,666)	(139,891)	(26,451)	-	(7,083)	(183,091)
პერიოდის ცვეთა	(4,627)	(29,857)	(3,565)	-	(2,909)	(40,958)
2024 წლის 31 დეკემბერი	(14,293)	(169,748)	(30,016)	-	(9,992)	(224,049)
საბალანსო ღირებულება						
2023 წლის 31 დეკემბერი	11,618	86,561	3,565	518,653	7,736	628,133
2024 წლის 31 დეკემბერი	30,847	104,470	-	625,964	10,291	771,572

შენიშვნა 8. არამატერიალური აქტივები - სხვა

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლუბის არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფას - 557 ლარს (2023 წლის 31 დეკემბერი - 1,344 ლარი).

შენიშვნა 9. არამატერიალური აქტივები - მოთამაშეები

მოთამაშეთა რეგისტრაციის დანახარჯები	31 დეკ 2024	31 დეკ 2023
დაგროვილი დანახარჯი პერიოდის დასაწყისში	747,691	349,080
პერიოდის განმავლობაში გაწეული დანახარჯი	1,217,608	398,611
დაგროვილი დანახარჯის შემცირება გაყიდვების/გასვლების შედეგად	(749,018)	-
დაგროვილი დანახარჯი პერიოდის ბოლოს	1,216,281	747,691
მოთამაშეთა რეგისტრაციის ამორტიზაცია		
დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის დასაწყისში	(458,583)	(127,996)
პერიოდის ამორტიზაციის დარიცხვა	(855,419)	(330,587)
დაგროვილი ამორტიზაციის შემცირება გაყიდვების/გასვლების შედეგად	658,170	-
დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის ბოლოს	(655,832)	(458,583)
ნეტო საბალანსო ღირებულება	560,449	289,108

შენიშვნა 10. მატერიალური მარაგი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლუბის მატერიალური მარაგი შეადგენს 1.114 ლარს (2023 წლის 31 დეკემბერი - 6,521 ლარი).

შენიშვნა 11. საგადასახადო აქტივი / ვალდებულება

2024 წლის 31 დეკემბრისთვის კლუბის საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება შეადგენს 57,697 ლარს, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრისთვის კლუბის საგადასახადო აქტივი არის 1,943 ლარი.

საპენსიო სქემა - 2018 წლის 21 ივნისს საქართველომ მიიღო კანონი საპენსიო ფონდის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. დაგროვებითი საპენსიო სქემა 6%-იან შენატანს ითვალისწინებს. კერძოდ, დასაქმებული თავისი დასაბეგრი ხელფასის 2%-ს გადარიცხავს ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე, დამსაქმებელი ასევე გადარიცხავს დამატებით 2%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადარიცხება კიდევ 2%, როგორც დამსაქმებელი, კლუბი გადარიცხავს 2%-ს თავის მხრივ და ეს გადასახადები მოცემულია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შენიშვნა 12. სხვა მიმდინარე ვალდებულებები

2024 წლის 31 დეკემბერს სხვა მიმდინარე ვალდებულებები 1,017,738 ლარი, მოიცავს სავაჭრო ვალდებულებებს 483,609 ლარს, სპენსიო გადასახადის ვალდებულებას 28,207 ლარს და მიღებულ ავანსებს 15,537 ლარს. მიმდინარე ვალდებულებები ასევე მოიცავს შპს „არგონავტიკა“-ს სასარგებლოდ სასამართლოს მიერ დაკისრებულ თანხას 490,385 ლარს, რადგან დავა საბოლოოდ დასრულდა 2024 წელს (ვალდებულება დაიფარა 2025 წლის 3 იანვარს). აღნიშნული 2023 წლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი იყო მოკლევადიან ანარიცხებში იხ. - **შენიშვნა 28. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები**).

2023 წლის 31 დეკემბერს სხვა მიმდინარე ვალდებულებები 2,944,584 ლარი, მოიცავს შპს კოფიმას სასარგებლოდ სასამართლოს მიერ დაკისრებულ 2,302,398 ლარს, სავაჭრო ვალდებულებებს, სხვა მიმდინარე გადასახდელებს 275,382 ლარს (92,556 ევრო) და ასევე ანგარიშგების ამ მუხლში არის წარმოდგენილი სპენსიო ფონდის დავალიანება.

შენიშვნა 13. მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლუბის ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება, 312,214 ლარი (მათ შორის 49,231 ლარი გრძელვადიანი), შედგება 2024 წელს კლუბში განხორციელებულ ტრანსფერებთან დაკავშირებით შუამავალი აგენტებისათვის გადასახდელი თანხებისაგან.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება, 377,865 ლარი ძირითადად მოიცავს 2022 წლის 24 იანვარს განხორციელებულ ფეხბურთელის ტრანსფერის თანხას, 100,000 ევროს ეკვივალენტს ლარში და ტრანსფერებთან დაკავშირებულ აგენტის მოსახურების მიმდინარე ვალდებულებას, 80,335 ლარს.

შენიშვნა 14. მოკლევადიანი ანარიცხები

2024 წლის 31 დეკემბერს მოკლევადიანი ანარიცხები არის ნული ლარი.

2023 წელს კლუბი ჩართული იყო შპს „არგონავტიკა“-სთან („მოსარჩელე“) სასამართლო დავაში. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით კლუბს დაეკისრა მოსარჩელისათვის თანხის გადახდა, რომლის შესაბამისი მოკლევადიანი ანარიცხი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 490,340 ლარს. დეტალური ინფორმაციისათვის იხ. - **შენიშვნა 28. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები**.

შენიშვნა 15. კაპიტალი

2024 წელს კლუბის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 10,000,000 ლარით და 31 დეკემბერის მდგომარეობით შეადგინა 30,464,718 ლარი (2023 წლის 31 დეკემბერი: 20,464,718 ლარი).

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლუბის მთლიანი კაპიტალი არის (1,351) ლარი, რომელიც 2023 წლის 31 დეკემბრის ანალოგიურ მონაცემთან (-2,538,950 ლარი) შედარებით გაუმჯობესებულია 99,9%-ით.

შენიშვნა 16. უფას საკლუბო შეჯიბრებები - ტრანსლაციის უფლებები, კომერციული, საპრიზო ფონდი/თანხები

2024 წლისთვის უფას საკლუბო შეჯიბრებები - ტრანსლაციის უფლებები, კომერციული, საპრიზო ფონდი/თანხები, მოიცავს უფა-დან მიღებულ თანხებს, ჯამში 2,360,497 ლარი (2023 წელი: 1,623,845 ლარი).

შენიშვნა 17. უფას სოლიდარობა და საპრიზო, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი

უფას სოლიდარობა და საპრიზო, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი მოიცავს უფა-დან მიღებულ თანხებს, რომელიც 2024 და 2023 წლებში შეადგენს, შესაბამისად ნულ ლარს და 257,911 ლარს.

შენიშვნა 18. სუბსიდიები, გრანტები და სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისაგან

სუბსიდიები, გრანტები ან სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისაგან მოიცავს ფეხბურთის განვითარების ფონდიდან ჩარიცხულ თანხებს ეროვნულ ვალუტაში, რომელიც 2024 და 2023 წლებში შეადგენს შესაბამისად 2,248,990 ლარს და 2,049,279 ლარს.

შენიშვნა 19. ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება

ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება შედგება ფეხბურთელების ანაზღაურებისგან.

შენიშვნა 20. ფეხბურთელები - გადასახადები და სოციალური შენატანები

ფეხბურთელები - გადასახადები და სოციალური შენატანები შედგება ფეხბურთელების საშემოსავლო გადასახადისა და საპენსიო შენატანისგან.

შენიშვნა 21. სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ანაზღაურება

სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ანაზღაურება მოიცავს ფეხბურთელების გარდა კლუბის სხვა თანამშრომლების ანაზღაურებას.

შენიშვნა 22. სხვა თანამშრომლები - გადასახადები და სოციალური შენატანები

სხვა თანამშრომლები - გადასახადები და სოციალური შენატანები შედგება ფეხბურთელების გარდა კლუბის სხვა თანამშრომლების საშემოსავლო გადასახადისა და საპენსიო შენატანისგან.

შენიშვნა 23. მატჩის დღის ხარჯები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სასტუმროს მომსახურება	332,855	251,556
დაცვის ხარჯები	181,606	62,342
სატრანსპორტო ხარჯები	78,805	60,989
სასწრაფოს და სახანძროს მომსახურება	27,630	14,060
მივლინების ხარჯი	19,183	18,640
ჯარიმები და საურავები	8,573	115,579
ევაკუატორით მომსახურება	3,805	3,495
მსაჯისა და დიქტორის მომსახურება	3,316	2423
მატჩის დღის რეკლამის ხარჯები	1,181	1,700
სხვა ხარჯი	21,045	36,234
სულ მატჩის დღის ხარჯი	677,999	567,018

შენიშვნა 24. სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
თვითმფრინავის ბილეთების ხარჯი	625,755	502,885
სამედიცინო ხარჯი	415,089	171,966
სასტუმროს მომსახურება	356,125	300,107
საწევროს და ლიცენზიების ხარჯი	176,400	97,284
ბინის იჯარა	157,842	30,546
სტადიონის იჯარა	150,273	59,773
ეკიპირების ხარჯი	159,041	213,241
კვების ხარჯი	138,612	143,634
რემონტის ხარჯი	114,969	16,702
სატრანსფერო ხარჯი	90,276	136,973
სამეურნეო ხარჯები	88,456	22,382
სპორტული სისტემების მომსახურების ხარჯი	86,907	87,299
კომუნალური ხარჯები	85,516	90,336
სატრანსპორტო ხარჯები	76,660	59,741
მარაგების ჩამოწერის ხარჯი	76,097	56,313
აუდიტორული და საკონსულტაციო ხარჯი	54,718	132,077
საწვავის ხარჯი	42,824	29,516
დავების ხარჯი	15,827	471,306
კომუნიკაციის ხარჯები	14,470	12,361
ოფისის ხარჯი	9,301	7,270
წვრთნისა და აღზრდის ხარჯები	1,277	6,000
სხვა ხარჯი	136,806	89,732
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი	3,073,241	2,737,444

შენიშვნა 25. სხვა შემოსავალი (არასაოპერაციო)

2024 წელს სხვა შემოსავალი (არასაოპერაციო) მოიცავს 702,398 ლარს. აღნიშნული წარმოადგენს სხვაობას დაკისრებულ ვალდებულებასა და საბოლოოდ ანაზღაურებულ თანხას შორის. კერძოდ, 2023 წელს კლუბის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულია ხარჯი და შესაბამისი ვალდებულება 2,302,398 ლარის ოდენობით, რომელიც კლუბს დააკისრა სასამართლომ მოსარჩელისათვის გადასახდელს. 2024 წელს კი მხარეებს შორის შეთანხმების საფუძველზე კლუბმა მოსარჩელეს აღნიშნული ვალდებულებიდან აღნაზღაურა 1,600,000 ლარი.

შენიშვნა 26. სხვა ხარჯი (არასაოპერაციო)

2024 წელს სხვა ხარჯის (არასაოპერაციო), 148,094 ლარის უმეტეს ნაწილს შეადგენს საკუროსო სხვაობით მიღებული ზარალი. 2023 წელს სხვა ხარჯის (არასაოპერაციო), 2,850,470 ლარის უმეტეს ნაწილს შეადგენს სასამართლოს მიერ დაკისრებულ, მოსარჩელებისთვის გადასახდელი თანხა 2,768,238 ლარი.

შენიშვნა 27. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

საქმიანობის ნორმალურ პირობებში კლუბი ტრანზაქციებს ახორციელებს ურთიერთდაკავშირებულ მხარეებთან.

ზოგადად, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებულ ტრანზაქციებთან და ნაშთებთან დაკავშირებით დეტალები ქვემოთ მოცემულ ცხრილებშია წარმოდგენილი.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	დაკავშირებული მხარე	31 დეკ 2024	31 დეკ 2023
უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება	უმაღლესი ხელმძღვანელობა	(127,706)	(85,422)
სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	(27,819)	(32,677)
სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი	100% წილის მფლობელი	(17,171)	(20,884)
სპონსორობა და რეკლამა - რეკლამები მოედნის პერიმეტრზე და დაფებზე	100% წილის მფლობელი	331	2,975
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან		(172,365)	(136,008)
ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	დაკავშირებული მხარე	31 დეკ 2024	31 დეკ 2023
ავანსად გადახდილი ხელფასი	უმაღლესი ხელმძღვანელობა	9,782	48,282
სხვა დებიტორული დავალიანება	100% წილის მფლობელი	3,900	3,510
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	100% წილის მფლობელი	(74,101)	(53,839)
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	(58,393)	(31,126)
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან		(118,812)	(33,173)

შენიშვნა 28. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

• **სასამართლო დავები**

2024 წელს კლუბი ჩართული იყო შპს „არგონავტიკა“-სთან („მოსარჩელე“) სასამართლო დავაში. მოსარჩელე მოითხოვდა 460,690 ლარს და 6,344 აშშ დოლარს, როგორც მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. კერძოდ, 2020 წლის 3 დეკემბერს შპს „არგონავტიკა“-მ მიმართა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას, კლუბის 100%-იანი წილის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე. შედეგად, 2020 წლის 3 დეკემბრის # 44 – 442033886 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის წერილის საფუძველზე შპს „არგონავტიკა“-მ კლუბს ჯამში 460,690 ლარი და 6,344 აშშ დოლარი ჩაურიცხა, ხოლო ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან არ შესრულდა ზემოთ აღნიშნული წერილით ნაკისრი ვალდებულება და არ გადაუციათ კლუბის 100%-იანი წილი შპს „არგონავტიკა“-სთვის. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით კლუბს დაეკისრა მოსარჩელისათვის 460,690 ლარისა და 6,344.13 აშშ დოლარის გადახდა. ასევე, კლუბს დაეკისრა მოსარჩელის მიერ სარჩელის აღძვრისას გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 5,000 ლარის, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისათვის გადახდილი, 50 ლარის, საადსრულებო ფურცლის აღსასრულებლად გადახდილი 100 ლარისა და საადვოკატო მომსახურების ხარჯის 2,500 ევროს (ექვივალენტი ლარის) გადახდა.

შენიშვნა 28. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

2024 წელს სასამართლო დავა დასრულდა და კლუბს საბოლოოდ დაეკისრა 490,340 ლარის გადახდა. აღნიშნული დავალიანება დაფარულია 2025 წლის 3 იანვარს. ეს თანხა კლუბის სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია სხვა მიმდინარე ვალდებულებებში, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის წარმოდგენილი იყო მოკლევადიან ანარიცხებში.

შენიშვნა 29. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ა(ა)იპ „ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი“-მა 2025 წლის იანვარ-თებერვალში გაზარდა კლუბის კაპიტალი 4,510,000 ლარის ოდენობით კლუბის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით.

ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდისგან კლუბმა 2025 წლის თებერვალში მიიღო დაფინანსება, სულ 303,500 ლარის ოდენობით.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან 2025 წლის 14 თებერვალს კლუბს ჩაერიცხა 2025 წლის უფასო ჭაბუკთა ლიგის დაფინანსების თანხა, 217,718 ლარი.

2025 წლის 3 იანვარს კლუბმა დაფარა შპს "არგონავტიკა"-ს მიმართ სასამართლოს მიერ 2024 წელს დაკისრებული ვალდებულება 490,385 ლარი.

კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
საბალანსო უწყისი

ლიცენზიის მადიებელი:

შპს "საფეხბურთო კლუბი ტორპედო ქუთაისი"

ანგარიშგების წელი

31.12.T-1

ძველი წელი

31.12.T-2

საბალანსო უწყისი	31.12.2024	31.12.2023
მიმდინარე აქტივები		
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	12,895	11,674
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება		
ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება		
სხვა დებიტორული დავალიანება	221,128	261,423
საგადასახადო აქტივები		1,943
მატერიალური მარაგები	1,114	6,521
სხვა მიმდინარე აქტივები	180,811	123,363
მთლიანი მიმდინარე აქტივები	415,948	404,924
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	771,572	628,133
არამატერიალური აქტივები - მოთამაშეები	560,449	289,108
არამატერიალური აქტივები - სხვა	557	1,344
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება		
ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება		
საგადასახადო აქტივები		
ინვესტიციები		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები	1,332,578	918,585
მთლიანი აქტივები	1,748,526	1,323,509
მიმდინარე ვალდებულებები		
ბანკის ოვერდრაფტები		
ბანკის და სხვა სესხები		
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება	262,983	377,865
ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება		
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	145,001	49,670
საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება	57,697	
დარიცხული ვალდებულებები და გადავადებული შემოსავალი		
მოკლევადიანი ანარიცხები		490,340
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	1,017,738	2,944,584
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	1,483,419	3,862,459
გრძელვადიანი ვალდებულებები		
ბანკის და სხვა სესხები		
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება	49,231	
ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება/სესხები		
თანამშრომელთა მიმართ ვალდებულებები		
საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება		
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		
გრძელვადიანი ანარიცხები		
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები	49,231.00	-
სულ ვალდებულებები	1,532,650	3,862,459

კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა საბალანსო უწყისი

ლიცენზიის მაძიებელი:

შპს "საფეხბურთო კლუბი ტორპედო ქუთაისი"

ანგარიშგების წელი

31.12.T-1

ძველი წელი

31.12.T-2

საბალანსო უწყისი	31.12.2024	31.12.2023
მთლიანი აქტივები / (ვალდებულებები)	215,876	(2,538,950)

საკუთარი კაპიტალი

სააქციო/საწესდებო კაპიტალი	30,464,718	20,464,718
გაუნაწილებელი მოგება	(30,248,842)	(23,003,668)
სხვა რეზერვები		
მთლიანი საკუთარი კაპიტალი	215,876	(2,538,950)

მთლიანი საკუთარი კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები	1,748,526	1,323,509
---	------------------	------------------

კონტროლი (მთლიანი აქტივები = მთლიანი კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები)	TRUE	TRUE
--	-------------	-------------

მთლიანი კაპიტალის შესაბამისობის შემოწმება

მთლიანი საკუთარი კაპიტალის საწყისი ბალანსი	(2,538,950)	(127,005)
პერიოდის მოგება/(ზარალი) დივიდენდების შემდგომ	(7,245,174)	(9,761,945)
კაპიტალის გაზრდა/კონტრიბუცია საკუთარ კაპიტალში	10,000,000	7,350,000
ცვლილება გადაფასების რეზერვში		
სხვა მოძრაობები საკუთარ კაპიტალში/რეზერვებში პერიოდის განმავლობაში		
მთლიანი საკუთარი კაპიტალის საბოლოო ბალანსი	215,876	(2,538,950)
შემოწმება	TRUE	TRUE

მოთამაშეთა რეგისტრაციის დანახარჯები

დაგროვილი დანახარჯი პერიოდის დასაწყისში	747,691	349,080
პერიოდის განმავლობაში გაწეული დანახარჯი	1,217,608	398,611
დაგროვილი დანახარჯის შემცირება პერიოდის განმავლობაში გა	(749,018)	
დაგროვილი დანახარჯი პერიოდის ბოლოს	1,216,281	747,691

მოთამაშეთა რეგისტრაციის ამორტიზაცია

დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის დასაწყისში	458,583	127,996
პერიოდის ამორტიზაციის დარიცხვა	855,419	330,587
დაგროვილი ამორტიზაციის შემცირება პერიოდის განმავლობაში	(658,170)	
გაუფასურების ანარიცხები პერიოდში	-	-
დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის ბოლოს	655,832	458,583

ნეტო საბალანსო ღირებულება

პერიოდის დასაწყისში	289,108	221,084
პერიოდის ბოლოს	560,449	289,108
შემოწმება	TRUE	TRUE

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქციონირებულია გამოსაცემად

[თარიღი]-თვის:

12/3/2025

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და ვ. დავით დოლაბერიძე, დირექტორი

თარიღი:

12/3/2025

კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
საბალანსო უწყისი

ლიცენზიის მამიებელი:

შპს "საფეხბურთო კლუბი ტორპედო ქუთაისი"

ანგარიშგების წელი

31.12.T-1

ძველი წელი

31.12.T-2

საბალანსო უწყისი

31.12.2024

31.12.2023





კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა მოგება-ზარალის უწყისი



ლიცენზიის მაძიებელი:

შპს "საფეხბურთო კლუბი ტორპედო ქუთაისი"

ანგარიშგების წელი

31.12.T-1

ბეგლი წელი

31.12.T-2

მოგება-ზარალის უწყისი	31.12.2024	31.12.2023
ამონაგები ბილეთებიდან - ეროვნული შეჯიბრებები	174,768	41,018
ამონაგები ბილეთებიდან - უეფას შეჯიბრებები	128,669	99,356
ამონაგები ბილეთებიდან - აზონემენტები		
ამონაგები ბილეთებიდან - საწევროები		
ამონაგები ბილეთებიდან - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი		
სულ ამონაგები ბილეთებიდან	303,437	140,374
სპონსორობა და რეკლამა - დამამზადებელი/მწარმოებელი სპონსორი		
სპონსორობა და რეკლამა - ძირითადი სპონსორი		
სპონსორობა და რეკლამა - სტადიონის სპონსორი		
სპონსორობა და რეკლამა - რეკლამები მოედნის პერიმეტრზე და დაფებზე	260,102	21,221
სპონსორობა და რეკლამა - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი		
სულ სპონსორობა და რეკლამა	260,102	21,221
ტელეტრანსლაციის უფლებები - ეროვნული შეჯიბრებები		
ტელეტრანსლაციის უფლებები - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი		
სულ ტრანსლაციის უფლებები	-	-
კომერციული - ეროვნული შეჯიბრებები		
კომერციული - საქონლის გაყიდვა		
კომერციული - ინფრასტრუქტურის გამოყენება არასამატჩო დღეებში		
კომერციული - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი		
სულ კომერციული	-	-
უეფას საკლუბო შეჯიბრებები - ტრანსლაციის უფლებები, კომერციული,	2,360,497	1,623,845
უეფას საკლუბო შეჯიბრებები - სოლიდარობის გადასახადი	217,227	7,610
უეფას სოლიდარობა და საპრიზო, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი		257,911
სულ უეფას სოლიდარობის და საპრიზო თანხა	2,577,724	1,889,366
სუბსიდიები, შემოწირულობები და სხვა თანხები ეროვნული საფეხბურთო	15,000	10,350
სუბსიდიები, გრანტები და სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალურ	2,248,990	2,049,279
შემოწირულობები არადაკავშირებული მხარეებისგან		
შენატანები/შემოწირულობები დაკავშირებული მხარეებისგან		
შემოსავალი არასაფეხბურთო საქმიანობებიდან		
განსაკუთრებული (გამონაკლისი) შემოსავალი		
სხვა საოპერაციო შემოსავალი, რომელიც ცალკე არა არის გამოყოფილი	1,439,014	113,262
სულ სხვა შემოსავალი	3,703,004	2,172,891
სულ შემოსავალი	6,844,267	4,223,852
რეალიზებული პროდუქციის/მასალების ხარჯები, რომლებიც ცალკე არ არის გამოყოფილი		
სულ ხარჯები რეალიზებულ პროდუქციაზე/მასალებზე	-	-
ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება	(6,553,943)	(4,386,008)
ფეხბურთელები - გადასახადები და სოციალური შენატანები	(1,725,556)	(1,251,679)
ფეხბურთელების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გ	(110,970)	-



კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა მოგება-ზარალის უწყისი



ლიცენზიის მაძიებელი:

შპს "საფეხბურთო კლუბი ტორპედო ქუთაისი"

ანგარიშგების წელი

31.12.T-1

ბელო წელი

31.12.T-2

მოგება-ზარალის უწყისი	31.12.2024	31.12.2023
სულ ფეხბურთელების მომსახურების ხარჯები	(8,390,469)	(5,637,687)
სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ანაზღაურება	(2,136,556)	(1,464,113)
სხვა თანამშრომლები - გადასახადები და სოციალური შენატანები	(597,305)	(387,731)
სხვა თანამშრომლების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი		
სულ სხვა თანამშრომლების მომსახურების ხარჯები	(2,733,861)	(1,851,844)
თანამშრომლების მომსახურების ხარჯები, რომლებიც ცალკე არა არის გამოყოფილი		
სულ თანამშრომლების მომსახურების ხარჯები	(11,124,330)	(7,489,531)
ძირითადი საშუალებების ცვეთა	(40,958)	(38,993)
სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია		
(გარდა ფეხბურთელების რეგისტრაციისა)	(844)	(1,662)
ძირითადი საშუალებების და სხვა არამატერიალური აქტივების გაუფასურება		
სულ ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება (გარდა ფეხბურთელების რეგისტრაციისა)	(41,802)	(40,655)
მატჩის დღის ხარჯები	(677,999)	(567,018)
სპონსორობისა და რეკლამირების ხარჯები	(40,328)	(29,626)
კომერციული აქტივობების ხარჯები		
უმრავი ქონებისა და სათავსოების ხარჯები		
არასაფეხბურთო საქმიანობების ხარჯები		
განსაკუთრებული (გამონაკლისი) ხარჯები		
სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი	(3,073,241)	(2,737,444)
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	(3,791,568)	(3,334,088)
სულ საოპერაციო ხარჯი (ფეხბურთელების რეგისტრაციის გარეშე)	(14,957,700)	(10,864,274.00)
გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (ფეხბურთელების რეგისტრაციის გარეშე)	(855,419)	(330,587)
გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების გაუფასურება (ფეხბურთელების რეგისტრაციის გარეშე)		
მოგება გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან (ფეხბურთელების რეგისტრაციის გარეშე)	1,152,187	
ზარალი გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან (ფეხბურთელების რეგისტრაციის გარეშე)		
წმინდა შედეგი ფეხბურთელების გაყიდვებიდან	296,768	(330,587)
კაპიტალიზაციისა და ამორტიზაციის მეთოდის გამოყენებით		
მოგება/(ზარალი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან/გასვლიდან		
მოგება/(ზარალი) სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან/გასვლიდან		
სულ მოგება/(ზარალი) გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან/გასვლიდან	-	-
ფინანსური შემოსავალი	6,480	3,338
ფინანსური ხარჯი		
წმინდა ფინანსური შემოსავალი (ხარჯი)	6,480	3,338
სხვა შემოსავალი (არასაოპერაციო)	717,412	59,251
სხვა ხარჯი (არასაოპერაციო)	(148,094)	(2,850,470)
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი)	569,318	(2,791,219)
საგადასახადო შემოსავალი/(ხარჯი)	(4,307)	(3,055)



კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა მოგება-ზარალის უწყისი



ლიცენზიის მამდიებელი:

შპს "საფეხბურთო კლუბი ტორპედო ქუთაისი"

ანგარიშგების წელი

31.12.T-1

ბეგელი წელი

31.12.T-2

მოგება-ზარალის უწყისი	31.12.2024	31.12.2023
მოგება/ (ზარალი) დაბეგვრის შემდეგ	(7,245,174)	(9,761,945)
დივიდენდები		
მოგება/ (ზარალი) დივიდენდების შემდეგ	(7,245,174)	(9,761,945)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი
ხელმძღვანელობის მიერ და სანქცონირებულია გამოსაცემად

[თარიღი]-თვის:

12/3/2025

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და ვინაობა):

დავით დოლაბერიძე, დირექტორი

თარიღი:

12/3/2025





კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი



ლიცენზიის მამბეელი:

შპს "საფეხბურთო კლუბი ტორპედო ქუთაისი"

ანგარიშგების წელი

31.12.T-1

ბეგელი წელი

31.12.T-2

წმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან	(10,049,160)	(6,533,582)
--	--------------	-------------

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

ფეხბურთელების რეგისტრაციების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები	1,160,309	
მოთამაშეთა რეგისტრაციების შესაძენად (გადახდილი) ფულადი სახსრები	(929,640)	(440,147)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები		
ძირითადი საშუალებების შესაძენად (გადახდილი) ფულადი სახსრები	(180,288)	(646,631)
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან, რომელიც არ არის ცალკე გამოყოფილი		
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან	50,381	(1,086,778)

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან

მიღებული ფულადი სახსრები სესხებიდან - მეწილეები/აქციონერები და დაკავშირებული მხარე (გადახდილი) ფულადი სახსრები სესხების დასაფარად - მეწილეები/აქციონერები და დაკავშირებული მხარე		
მიღებული ფულადი სახსრები სესხებიდან - საფინანსო დაწესებულებები (გადახდილი) ფულადი სახსრები სესხების დასაფარად - საფინანსო დაწესებულებები		
სააქციო/საწესდებო კაპიტალის გაზრდით მიღებული ფულადი სახსრები	10,000,000	7,350,000
(გადახდილი) ფულადი სახსრები მეწილეებისთვის/აქციონერებისთვის დივიდენდების გადახდიდან		
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) ფინანსური საქმიანობიდან, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი		
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) ფინანსური საქმიანობიდან	10,000,000	7,350,000

სხვა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა)

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების რეკონსილაცია

საანგარიშგებო პერიოდის საწყისი ბალანსი	11,674	282,034
წმინდა ფულადი ნაკადები საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში	1,221	(270,360)
საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ბალანსი	12,895	11,674
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გამოკლებული ბანკის ოვერდრაფტი	12,895	11,674

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქცინირებულია გამოსაცემად

[თარიღი]-თვის:

12/3/2025

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და ვინაობა):

დავით დოლაბერიძე, დირექტორი

თარიღი:

12/3/2025

